პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 82-ე წელი

**მშვიდობის მომხრენო მთელ მსოფლიოში! იბრძოლეთ ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებისათვის! ამხილეთ და ჩაფუშეთ ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტთა აგრესიული გეგმები! საშუალებას ნუ მისცემთ ომის გამჩაღებლებს სიცრუის ქსელში გახვიონ ხალხის მასები, მოატყუონ ისინი და ახალ მსოფლიო ომში ჩაითრიონ!**

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან

ხუთშაბათი, 25 ოქტომბერი, 1951 წ. № 252 (9106). ფასი 20 კაპ.

## მეცხოველეობის მუშაკები სერიოზული ამოცანის წინაშე

საქართველოს მეცხოველეობის მუშაკები, კოლმეურნე გლეხობა მთელი ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად წარმატებით ახორციელებენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიან გეგმას. ბევრ რაიონში მნიშვნელოვნად გაიზარდა პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა. მეცხოველეობის განვითარების მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმის შესრულებაში კარგი მაჩვენებლები აქვთ სამტრედიის, ქლუხორის, დმანისის, ბოგდანოვკისა და სხვა რაიონებს. მიმდინარე წელი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესრულების უკანასკნელი წელია. მეცხოველეობის მუშაკებს მოეთხოვებათ მთლიანად შეინარჩუნონ ნამატი, მოზარდეული და მკვეთრად აამაღლონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებაზე. ზამთარი ახლოვდება, დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ დასახული ამოცანის შესასრულებლად.

ზამთრისათვის მზადების საქმეში დიდმნიშვნელოვანია უხეში და წვნიანი საკვების საკმაო რაოდენობით მომზადება, საკვების დროულად მიზიდვა პირუტყვის სადგომებთან, მეცხოველეობის სადგომების მშენებლობის დამთავრება და რემონტი დაწესებულ ვადებში.

მთელ რიგ რაიონებსა და კოლმეურნეობებში ზამთრისათვის მზადება ფართოდ არის გაჩაღებული. მაგალითად, დუშეთის, ზემო სვანეთის და კასპის რაიონების კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს უხეში საკვების დამზადების სახელმწიფო გეგმა; თელავის, ახმეტის, თბილისის გარეუბნის, მარნეულის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონებმა გადაჭარბებით შეასრულეს საკვების დასილოსების გეგმა.

ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა სერიოზულ ყურადღებას აქცევენ კოლმეურნეობებში ბინათმშენებლობას საქმეს. ამ მიზნით ყოველწლიურად მეცხოველეობის ბინათმშენებლობისათვის სახელმწიფო აძლევს კოლმეურნეობებს კრედიტებს, საშენ მასალას. ბევრგან უნარიანად იყენებენ ამ დიდ დახმარებას და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ. მეცხოველეობისათვის ბინათმშენებლობის მიმდინარე წლის დავალებას წარმატებით ასრულებენ ზუგდიდის, წალენჯიხის, სამტრედიისა და დმანისის რაიონების კოლმეურნეობები.

მაგრამ ზოგ რაიონში ზამთრისათვის ცუდად ემზადებიან. მთელი რიგი კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არ არიან პირუტყვისათვის უხეში საკვების საკმაო რაოდენობით, ნელი ტემპით წარმოებს საკვების დასილოსება, პირუტყვის ბინების მშენებლობა. ბოლნისის, გარდაბნის, ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და სხვა რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში უხეში საკვების დამზადება ძლიერ ნელი ტემპით მიმდინარეობს.

წითელწყაროს, სიღნაღისა და კაჭრეთის რაიონებში წელს პირუტყვის საკვების ნაკლებობაა. ამ რაიონების კოლმეურნეობებმა სასწრაფო ზომები უნდა მიიღონ საკვების დროზე შემოსაზიდავად იმ რაიონებიდან, სადაც საკვები ჭარბად აქვთ. მაგრამ ყველა ასე როდი აკეთებს. მაგალითად, წითელწყაროს რაიონში კოლმეურნეობებმა არ გაზიდეს მიმდინარე წლის მესამე კვარტალში მიღებული ქატო, რამაც გამოიწვია მისი ხარისხის გაუარესება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკვების საკმაო რაოდენობით დამზადებას საზამთრო საძოვრებზე. მომთაბარე რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ამთავითვე უნდა დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი საზამთრო საძოვრებზე პირუტყვის უხეში და კონცენტრირებული საკვებით უზრუნველყოფისათვის.

მთელ რიგ რაიონებში — გარდაბანში, ლაგოდეხში, ხაშურში, ზესტაფონში, ჩოხატაურსა და ქუთაისის რაიონში—ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი ამინდი, რის გამოც ჩამორჩნენ საკვების დასილოსების საქმეში. ამ მხრივ არასაკმაოდ ეხმარება კოლმეურნეობებს ზოგიერთი მტს-ი. მაგალითად, წალენჯიხისა და საჩხერის მტს-ებმა გააჭიანურეს საკვების დასილოსება, ხოლო ოგარის, რუისის და აფენის მტს-ებს საკვების დასილოსების გეგმა ნახევრადაც არ შეუსრულებიათ.

საჭიროა სასწრაფოდ გამოვასწოროთ ეს ნაკლოვანებანი. უწინარეს ყოვლისა მთლიანად უნდა შევაგროვოთ მინდვრად ნამჯა-ჩალა, დავასილოსოთ შაქრის ჭარხლის, კარტოფილის ფოჩები, ბოსტნეულის ნარჩენები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა მტს-ი ასრულებდეს საკვების დასილოსების გეგმას.

სერიოზულად ჩამორჩა პირუტყვის თბილი ბინებით უზრუნველყოფის საქმე გორის, კასპის, ყაზბეგის, გარდაბნის, საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონებში. საჭიროა დარჩენილი დრო მაქსიმალურად იქნას გამოყენებული და ფართოდ გაიშალოს პირუტყვის კეთილმოწყობილი ბინების მშენებლობა, რომ ბაგური კვების დაწყებისათვის პირუტყვი მოთავსებული იყოს სუფთა, თბილ და ნათელ ბინებში.

მეცხოველეობის მუშაკთა შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად. ბევრგან წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. ამ შეჯიბრებაში საპატიო ადგილი უნდა დაიკავოს გამოზამთრებისათვის მზადყოფნის აქტუალურმა საკითხებმა. მეცხოველეობის მუშაკთა ღირსებისა და სახელის საქმეა შეასრულონ მოძმე სომხეთის სს რესპუბლიკის მეცხოველეთა მიმართვის პასუხად ნაკისრი ვალდებულებანი. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მოაწყონ ნაკისრ ვალდებულებათა მასობრივი შემოწმება, გამოავლინონ მოწინავენი, გაავრცელონ მათი გამოცდილება; ებრძოლონ ფორმალიზმს შეჯიბრებაში, რასაც ცალკეულ შემთხვევებში ჯერ კიდევ ვხვდებით, დაეხმარონ ჩამორჩენილებს, რათა გაუთანასწორდნენ მოწინავეებს.

მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავისათვის. ლენინ-სტალინის დიადი პარტიის საოქტომბრო მოწოდებებში ასახულია საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებანი კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში და დასახულია მორიგი საბრძოლო ამოცანები. ამხანაგ სტალინის გენიას ჩვენი ქვეყნის ხალხები მიჰყავს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობის, მეცხოველეობის მუშაკთა გულში მხურვალე გამოხმაურებას ჰპოვებს და მათ ახალი შრომითი მამაცობისათვის აღაფრთოვანებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდება:

**„კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების მუშებო, ზოოტექნიკოსებო და ვეტერინარო მუშაკებო! იბრძოლეთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის! უზრუნველყოთ პირუტყვის სანიმუშო მოვლა-შენახვა ზამთრის პირობებში“.**

ახლოვდება 7 ნოემბერი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავი. მეცხოველეობის მუშაკები დგანან ახალი სერიოზული ამოცანის წინაშე. — დიად დღესასწაულს შეხვდნენ ზამთრისათვის საცხოვრებელი მზადების დასრულებით. შეასრულონ ბინების მშენებლობა და უზრუნველყონ პირუტყვის დროული დათბუნება და შეინახონ დროზე, ვადებში.

## სამგორის სახალხო მშენებლობაზე

## ჯრასის მთიან ზონაში

ეს დღეები ზემო მაგისტრალური არხის მთიან ზონაში მომუშავე მშენებლებმა მრავალი ახალი საწარმოო გამარჯვებით აღნიშნეს: დაამთავრეს სათავის კაშხალზე ორი დიდი ფარის მონტაჟი, შეუდგნენ მესამე ფარის დაყენებას, გამართეს ფარების ამწევ-დამწევი მექანიზმები, სავსებით მოათავეს წყალმიმღებისა და წყალდამლექის გამზადება, გაწმინდეს, გაასუფთავეს და წყლის გასატარებლად გაამზადეს კაშხალიდან პირველ გვირაბში წყალშემყვანი არხი, შეუდგნენ არხის დაბეტონებული კალაპოტის ტექნიკურ შემოწმებას ცალკე უბნებზე და სხვ.

წარმატებით მიდიან მშენებლები წინ სამგორის დიდ გვირაბში. 23 ოქტომბერს საღამოსათვის ამ გვირაბში დასაბეტონებელი დარჩა მცირე მონაკვეთი, მშენებლებმა ბეტონის სამუშაოთა შესრულებასთან ერთად დაიწყეს გვირაბის გაწმენდა, იქიდან უკვე გამოუსადეგარი ხე-ტყის მასალის, ლიანდაგის და სამშენებლო ნაგავის გამოზიდვა. გვირაბის მახლობლად მიმდინარეობს წყალგადასაშვების დაბეტონება. გვირაბში შესასვლელთან გაჩაღებულ სამუშაოებს ხელმძღვანელობს ინჟინერი ზურაბ კუხიანიძე.

განსაკუთრებული შრომითი აღმავლობაა ზემო მაგისტრალური არხის სათავის კვანძზე, რომლის მშენებლობასაც ინჟინერი ლ. თავართქილაძე ხელმძღვანელობდა. მოახლოვდა ამ ადგილას მდინარისათვის ჩვეული გზის გადაკეტვის ვადა. მალე აქ ძირს დაუშვებენ ვეებერთელა ფარებს, ლითონით გადალობავენ იორის კალაპოტს და შეგუბდება მდინარე, რათა წყალმიმღების ჭიშკრიდან ბეტონის რთული გზით არხში გადმოიჭრას და თბილისის წყალსაცავისაკენ გასწიოს. ხუთასზე მეტი კაცი მუშაობდა ამ კვანძის სხვადასხვა ნაგებობებზე. სამშენებლო სამუშაოები მოთავებულია, ამიტომ 200-ზე მეტი მუშა სათავის ნაგებობათა მშენებლებმა სხვა ნაგებობათა მშენებლებს დაახმარეს. დანარჩენთ წესრიგზე მოჰყავთ ნაგებობათა მიდამო—გაჰყავთ მისასვლელი გზები, ასწორებენ მიწაყრილს, ფიცრულისაგან ათავისუფლებენ ბეტონს და ემზადებიან გახსნის დღეს სტუმრების მისაღებად. მშენებლები სტუმრებს დაახვედრებენ კაშხალის კეთილმოწყობილ მიდამოს და ტექნიკური თვალსაზრისით სრულყოფილ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს.

ამ უბნებზე გაჩაღებულ მუშაობას სამგორელ ჰიდროენერგო-მშენებელთა პირველი სამმართველო ხელმძღვანელობს. სამმართველოს უფროსი გ. წულეისკირი და მთავარი ინჟინერი ვ. ჩუბინიძე დილიდან საღამომდე ტრასზე არიან, კვლავ და კვლავ ამოწმებენ თავიანთ უბნებს, რათა წყლის გაშვების დღისათვის ყველაფერი წესრიგზე იყოს.

წყლის გადმოშვებას მშენებლები მოელიან როგორც დიდ დღესასწაულს. თვითეულ მათგანს სამგორში მუშაობა მიაჩნია პირადი ღირსების, სიმამაცისა და სახელის საქმედ, პატრიოტული მოვალეობის საქმედ.

ყველა მოწადინებულია, რომ ივრიდან თბილისის წყალსაცავისაკენ წყლის გაშვებისათვის მაღალი საწარმოო მაჩვენებლით წარუდგეს სამშობლოს, რომ ნაკისრი სამუშაო სანიმუშოდ შეასრულოს.

ივრის ხეობაში ტყისთვის შემოდგომას ფერი უცვლია. მალე ამ ხეობიდან იორის მაცოცხლებელი წყალი სამგორისაკენ გაემართება.

სიხალისეს და სიცოცხლეს მოჰფენენ ეს ტალღები სამგორის თვალუწვდენელ სივრცეებს.

დ. ლომთაძე

## დიდი საზღაური შრომადღეებზე

ოჩამჩირე. („კომუნისტის“ კორ.). სულ უფრო იზრდება კოლმეურნეობათა შეძლებულობა. კოლმეურნეობა „აგარაკმა“ თამბაქოს მოსავლიდან მიიღო 4.215.000 მანეთი შემოსავალი. უფრო მეტ შემოსავალს იღებენ კოლმეურნეები ჩაის მოსავლიდან. წელს მარტო ჩაისაგან სოფელ კოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა 11 მილიონ მანეთზე მეტ შემოსავალს მიიღებს.

კოლმეურნეობათა საერთო შემოსავლის ზრდასთან ერთად განუხრელად იზრდება შრომადღეების ღირებულება. თუ 1949 წელს თვითეულ შრომადღეზე საშუალოდ რაიონში გაცემულ იქნა 2 მანეთი და 49 კაპიკი, შარშან გაიცა 8 მანეთი და 22 კაპიკი. წელს ნავარაუდევია გაიცეს 15 მანეთი. ბევრმა კოლმეურნეობამ 25-30 მანეთი გასცა შრომადღეზე. სოფელ ჭლოუს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ შარშან თვითეულ შრომადღეზე გასცა 30 მანეთი და 53 კაპიკი. ცნობილმა სტახანოველმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. ც. ბერაძემ შარშან მიიღო 72.455 მანეთი ფულად და 7,1 ტონა მარცვლეული. ამ დიდი თანხით ამხ. ბერაძემ შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა, ააგო ახალი სახლი და კომფორტაბელური ავეჯით მორთო იგი. ამავე კოლმეურნეობის სტახანოველმა მ. ჯანჯღავამ მიიღო 63.000 მანეთი, ბ. გოგუხიამ — 41.886 მანეთი.

## დამთავრდა საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების VII რესპუბლიკური ოლიმპიადა

სამშაბათს, 23 ოქტომბერს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების VII რესპუბლიკური ოლიმპიადის მეცხრე, დამამთავრებელი კონცერტი. ოლიმპიადის ამ დასკვნით კონცერტში მონაწილეობა მიიღეს მცხეთის და დუშეთის რაიონებისა და ქ. თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა.

მაყურებლებით სავსე დარბაზი აღფრთოვანებით შეხვდა მცხეთის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლას ივანე მეღვინეიშვილის ხელმძღვანელობით (ქორეოგრაფი ა. იბაგულოვი). დამსწრეთა მოწონება გამოიწვია ანსამბლის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა: „ბელადს“ (მუსიკა ვ. ცაგარეიშვილის, ტექსტი მ. გოგიაშვილისა), „სიმღერა სტალინზე“ (მუსიკა შ. მილორავასი, ტექსტი ი. გრიშაშვილისა, დამწყებნი მარო მუხათგვერდელი და მერი ჩარკვიანი), „აკვანი“ (მუსიკა რ. გაბიჩვაძის, ტექსტი ა. ნონეშვილისა). ანსამბლმა განსაკუთრებული ოსტატობით შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები: „ოროველა“ (დამწყები მიხეილ ჭანკვეტაძე) და „არაგვული მგზავრული“, რასაც მაყურებლები მქუხარე ტაშით შეხვდნენ. ანსამბლმა მოცეკვავე ქალთა ჯგუფის მონაწილეობით ხაუკეთესოდ შეასრულა „სამაია“ (მუსიკა გრ. კოკელაძის, ტექსტი გრ. ხერხეულიძისა).

მნიშვნელოვანი წარმატება ხვდა ლ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის თვითმოქმედ კოლექტივს (ხელმძღვანელი აპოლონ ნინუა, ცეკვების დამდგმელი ელგუჯა ძიძიგური), რომელმაც კარგად შეასრულა სიმღერები: „ხალხნო, შეხედეთ!“ (დამწყებნი ჟუჟუნა ვეშაპიძე და კირილე ჩუგუაშვილი, მოცეკვავეები ელგუჯა ძიძიგური და ოთარ ნასყიდაშვილი), „ქართველ მხედრებს“ (დამუშავებული ქ. ლოლობერიძის მიერ, დამწყებნი ჟ. ვეშაპიძე და ქეთევან ყურაშვილი) და „ნუ გიყვარს, ქალო“. მოწონება გამოიწვია აგრეთვე მოცეკვავეთა ჯგუფის მიერ შესრულებულმა „მთიულურმა“.

მცირე პაუზის შემდეგ ფარდა იხდება. სცენის სიღრმეში მოჩანს დეკორაცია — ქალაქ დუშეთისა და მისი მიდამოების ხედი. ამ ფონზე გამოდის დუშეთის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ვლადიმერ ჭუმბურიძის ხელმძღვანელობით (ქორეოგრაფები ალექსი შადური და შალვა იაშვილი). შეიძლება ეს თვითმოქმედი კოლექტივი მათ რიცხვში ჩაითვალოს, რომელთაც VII რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე რეპერტუარის ორიგინალობითა და შესრულების ოსტატობით განსაკუთრებით ისახელეს თავი.

ანსამბლმა დიდი წარმატებით შეასრულა შ. აზმაიფარაშვილის „არაგვისპირული“ და ვ. ჭუმბურიძის „სიმღერა ახალ სოფელზე“ ცეკვით (ტექსტი ვ. კასრაძისა, დამწყებნი მასწავლებელი ვიქტორ კახრაძე და მწყემსი ილია ზაქაიძე, ცეკვა შეასრულეს დოდო ცოცხალაშვილმა და ილია ბექაურმა). მაყურებელთა საერთო აღფრთოვანება გამოიწვია კოლმეურნეობის მერგოლურის მზექალა პინჯარაულისა და მწყემს ი. ზაქაიძის მიერ შესრულებულმა ხალხურმა „სატრფიალომ“. ზაქაიძემ კვლავ ისახელა თავი ფანდურზე „ვეფხვისა და მოყმის სიმღერის“ საუკეთესოდ შესრულებით. დამსწრენი აღტაცებაში მოიყვანა ფშაველმა ქალმა ბაბა რაზიკაშვილმა, რომელმაც ფანდურზე საუცხოოდ შეასრულა „მწყემსის სიმღერა სტალინზე“. შესანიშნავი იყო ცეკვები, განსაკუთრებით კი „მთიელ ქალ-ვაჟთა ცეკვა“ დოდო ცოცხალაშვილისა და ალექსი შადურის შესრულებით და „მთიელი მწყემსების ცეკვა“, რაც მაღალი ოსტატობით შეასრულა ანსამბლის მოცეკვავეთა ჯგუფმა. ამ თვითმოქმედი კოლექტივის მიერ შესრულებულ ყოველ სიმღერასა და ცეკვაში იგრძნობოდა ბუნებრივობა, უბრალოება და ნამდვილი ხალხურობა. ამიტომ იყო, რომ მაყურებლებში უდიდესი მოწონება გამოიწვია ანსამბლის ჭეშმარიტად ხალხურმა შემოქმედებამ.

კონცერტის მეორე განყოფილება დაიწყო საქართველოს სარეწაო კოოპერაციის ლ. ბერიას სახელობის კულტურის სახლის მომღერალთა გუნდის გამოსვლით (გუნდის ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მარო თარხნიშვილი). გუნდმა მისთვის ჩვეული ოსტატობით წარმატებით შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „ბერიკაცი ვარ“ (დამწყებნი მარო და თამარ თარხნიშვილები) და „შაირები“ (დამწყებნი რ. ხიზანიშვილი, მ. გურასაშვილი და ალ. გოგოშიძე). კარგი შთაბეჭდილება დატოვა გუნდის მონაწილეთა მიერ შესრულებულმა „ფერხულმა“ სოლისტების გველუკაშვილისა და მხეიძის მონაწილეობით.

ქ. თბილისის დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ორჯონიკიძის რაიკომის მომღერალთა გუნდმა ნინო პატარიძის ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულა ვ. ცაგარეიშვილის „ბელადს“ და ხალხური სიმღერა „ჩონგური“ (დამწყებნი ნათელა პატარიძე და ლოლი ნინუა).

მოწონება დაიმსახურა მუშათა დაბის კლუბის მომღერალთა ჯგუფმა, რომელმაც კარგად შეასრულა სიმღერა „მშვიდობის დასაცავად“ (მუსიკა ბელისა).

მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოს სიმებიანი ორკესტრის გამოსვლა სერგო ოგანოვის ხელმძღვანელობით. ორკესტრმა კარგად შეასრულა დუნაევსკის „ჩემი მოსკოვი“ (სოლისტი ამალია მანუსაჯიანი) და ანტრაქტი და ხაბანერა ბიზეს ოპერიდან „კარმენი“.

ინდივიდუალური შემსრულებლებიდან წარმატება ხვდათ ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ხარატს ტატიანა პოლიფაროვას (მხატვრული ტანვარჯიში), პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტ ქალს ია მებუკეს (თავისუფალი ვარჯიში), ამავე ინსტიტუტის სტუდენტს ბევანიშვილის (ნებისმიერი ვარჯიში) და თბილმშენის № 2 სამშენებლო ქარხნის მუშებს ვ. არონინას და ვ. ლიაშენკოს, რომლებმაც საუცხოოდ შეასრულეს რუსული სახასიათო ცეკვა „გაცილება“. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა მუშათა დაბის კლუბთან არსებულმა ქალთა ქორეოგრაფიულმა კოლექტივმა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის გ. ბარბუდაროვის ხელმძღვანელობით, რომელმაც შესანიშნავად შეასრულა „უკრაინული ცეკვა“.

დედაქალაქის თვითმოქმედ კოლექტივებს შორის ოლიმპიადის დასკვნით კონცერტზე თავი ისახელა საქართველოს კოოპკავშირის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა ვასილ მახარაძის ხელმძღვანელობით (ქორეოგრაფი გიორგი დარახველიძე, ინსტრუმენტალური ჯგუფის ხელმძღვანელი ლევან მახარაძე). ანსამბლმა წარმატებით შეასრულა სიმღერა „ბელადს“ (მუსიკა შ. მილორავასი), ხალხური „სიმღერა რუსთაველზე“ (ტექსტი ანდრო თევზაძის, დამწყებნი ქეთევან ჩხეიძე, დავით მდინარაძე და ლეონიდე დოლიძე) და „მრავალჟამიერი“ (დამწყებნი ეთერ ათაბეგოვა, ვასილ მახარაძე). დამსწრეთა მოწონება გამოიწვიეს მოცეკვავეთა ჯგუფის მიერ შესრულებულმა ცეკვამ „ხანჯლური“ და „ქართულმა“ ლილი პირცხალაიშვილისა და ენვერ ჰადიას შესრულებით.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა (ხელმძღვანელი ს. გველესიანი, ქორეოგრაფი რ. ჭოხონელიძე) მაყურებლები გაახარა საუკეთესოდ შესრულებული სიმღერებით და ცეკვებით. საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე წარმომადგენლებმა წარმატებით შეასრულეს „გამარჯვების სიმღერა“ (მუსიკა გრ. კოკელაძის, ტექსტი ა. მირცხულავასი), „ახალგაზრდობის სიმღერა“ (მუსიკა შ. ჩირინაშვილის, ტექსტი უნივერსიტეტის სტუდენტ ნ. დუმბაძისა) და „რუსთავი“ (მუსიკა ო. თაქთაქიშვილის, ტექსტი მ. გოგიაშვილისა). მთელი დარბაზი აღაფრთოვანა თვითმოქმედი კოლექტივის მოცეკვავეთა ჯგუფის მიერ ოსტატურად შესრულებულმა „ფერხულმა ცერულით“, „მთიულურმა“ და ცეკვამ „ქართული“ (სოლისტები ლეილა ფაღავა და გურამ სამსონიძე).

მიკროფონთანაა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ციალა მჭედლიშვილი. იგი დამსწრეთ ამცნობს, რომ დღევანდელ კონცერტს ესწრება საბჭოთა კავშირში სტუმრად ჩამოსული ჩინეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა დელეგაცია. ამხ. მჭედლიშვილი საქართველოს სტუდენტთა და დამსწრე საზოგადოების სახელით მიესალმება ძვირფას სტუმრებს. მთელი დარბაზი ფეხზე დგება; დიდხანს არ ცხრება მხურვალე ოვაცია დიდი ჩინელი ხალხისა და მათი წარმომადგენლების პატივსაცემად.

კონცერტი გრძელდება. წარმატებით გამოდის ძაფსართავი ფაბრიკის მომღერალთა გუნდი მ. დემჩინსკაიას ხელმძღვანელობით, რომელმაც შეასრულა უკრაინული ხალხური სიმღერა „რომანე“ და „შაირები“.

დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს თვითმოქმედი კოლექტივის გამოსვლამ მერი ვეფხვაძის ხელმძღვანელობით. გუნდმა კარგად შეასრულა ა. შავერზაშვილის „სიმღერა მოსკოვზე“. განსაკუთრებული წარმატება ხვდა „იავნანის“ აკომპანემენტით (დამწყები ეთერ ჯანდიერი) მზია კეჭკაპიშვილის მიერ ამაღელვებლად წაკითხულ გიორგი ლეონიძის ლექსს „არ დაიდარდო, დედაო“.

კონცერტის დასასრულს გამოვიდა სამტრესტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი სერგო ბაქრაძის ხელმძღვანელობით (ქორეოგრაფი ნ. გარუჩავა, ინსტრუმენტალური ჯგუფის ხელმძღვანელი ნათელა შენგელია). გუნდმა მაღალი ოსტატობით შეასრულა „პატარა ბელადს“ (დამუშავებული ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ავქსენტი მეგრელიძის მიერ, დამწყები გიორგი ქურციკიძე), ხალხური „ნანა“ (შემსრულებლები ნათელა შენგელია, ელენე მესხი, რუსუდან გეგია, ქსენია ჯავახია, ნუნუ კოპლატაძე და მარიამ ბაქრაძე) და „მხედრული“. მაყურებლები განსაკუთრებული მოწონებით შეხვდნენ მოცეკვავეთა ჯგუფის მიერ შესრულებულ „დავლურს“ (ცეკვა „ქართული“ შეასრულეს ც. ჯაფარიძემ და ვ. ბერიძემ), ცეკვებს: „როსტომ ჭაბუკი“ (ფერხული) და „ხალხინო“. ამით იწურება ოლიმპიადის დამამთავრებელი კონცერტის პროგრამა.

სცენაზე შემოდის დასკვნითი კონცერტის მონაწილე ყველა თვითმოქმედი კოლექტივი, რომლებიც სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ასრულებენ საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნს.



სურათებზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ცხაკაიას რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ასრულებს სიმღერას საბჭოთა კავშირის გმირ ალექსანდრე წურწუმიაზე; ჩოხატაურის რაიონის კულტურის სახლის თვითმოქმედი კოლექტივი ასრულებს ცეკვა „ლილოს“; ზემო სვანეთის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მონაწილენი ასრულებენ ხალხურ სიმღერას „ლილეაშ“.

ფოტო კლ. გინზბურგისა

## საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს მატყლის დამზადების გეგმა

საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 20 ოქტომბრისათვის 100,3 პროცენტით შეასრულეს მატყლის დამზადების წლიური გეგმა.

მატყლის დამზადება გრძელდება.

## თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს კარტოფილის დამზადების გეგმა

თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 20 ოქტომბრისათვის 100,5 პროცენტით შეასრულეს კარტოფილის დამზადების გეგმა.

კარტოფილის დამზადება გრძელდება.

პარტიული ცხოვრება

# ჩემი გამოცდილება

ეს იყო გასულ წელს. პარტიის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორმა შეისწავლა იმ წრის მუშაობა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. რამდენიმე დღის შემდეგ პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ჩემი ანგარიში მოისმინა. მრავალი საყურადღებო მითითება მომცეს ბიუროს წევრებმა, ილაპარაკეს ჩემი მუშაობის ნაკლოვანებებზე, საჭიროდ დაინახეს უფრო მეტად გამომეყენებინა დამხმარე ლიტერატურა და თვალსაჩინოების სხვადასხვა საშუალებანი; პრაქტიკაში შემომეღო მსმენელთა მიერ რეფერატების წაკითხვა, გამეზიარებინა მათთვის კონსპექტის წესიერად შედგენის ჩვევები.

მეტი პასუხისმგებლობით შევუდექი საქმეს. ყველა ნაკლი, რაზეც ბიურომ მიმითითა, მარშანვე გამოვასწორე, და შეიძლება ითქვას, — გასული სასწავლო წელი წარმატებით დავამთავრეთ. მსმენელებმა ღრმად შეისწავლეს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის პირველი შვიდი თავი.

პირველ ოქტომბერს განვაახლეთ მეცადინეობა. დღემდე უკვე სამი მეცადინეობა ჩავატარე. როგორ ვემზადები მეცადინეობისათვის? რამდენიმე დღით ადრე ვკითხულობ შესასწავლი თემის შესაბამის მონაკვეთს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსიდან, ვეცნობი დამხმარე პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას, რომ უფრო ღრმად შევძლო საკითხების განმარტება. თვალყურს ვადევნებ საერთაშორისო მოვლენებს, წაუკითხავს არ ვტოვებ მნიშვნელოვან დეპეშებს გაზეთებში.

როგორც წესი, მეცადინეობას ვიწყებ საკვანძო კითხვების დაყენებით და ვცდილობ ყველა მსმენელის ყურადღება გავამახვილო დასმული კითხვების გარშემო. ყოველთვის ვცდილობ მსმენელებს ვესაუბრო გასაგები ენით, მათი ყურადღება გავამახვილო იმ ძირითად საკითხებზე, რასაც თემა მოიცავს.

მაგალითისათვის მინდა მოვიყვანო უკანასკნელი მეცადინეობა. თემა ეხებოდა ბოლშევიკური პარტიის მოღვაწეობას 1918-1919 წლებში. ვილაპარაკე სამოქალაქო ომზე, მსმენელებს მოვაგონე კინოფილმი „ჩაპაევი", გამოვიყენე აგრეთვე ნ. ოსტროვსკის ცნობილი ნაწარმოები „როგორ იწრთობოდა ფოლადი". მეცადინეობა საინტერესოდ წარიმართა. მსმენელები ყურადღებით მისმენდნენ. საუბრის ბოლოს ვილაპარაკე მიმდინარე ამოცანებზე.

ამ ბოლო ხანებში წესად მაქვს შემოღებული ვესაუბრო მსმენელებს მშვიდობაზე და მის განსამტკიცებლად მაღალნაყოფიერი შრომის აუცილებლობაზე. ამასწინათ მეცადინეობის დროს აღვნიშნე, რომ, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სახელმწიფო თავის შექმნის პირველი დღეებიდანვე ახორციელებდა სამშვიდობო პოლიტიკას, ანტანტის სახელმწიფოები თავს დაესხნენ მას და შეეცადნენ ჩვენს ქვეყანაში აღედგინათ ძველი რეჟიმი. მაგრამ ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთმა გაუძლო განსაცდელს და მტერი გაანადგურა. ასევე გაიმარჯვა ჩვენმა ქვეყანამ 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში, ასევე გაიმარჯვებს ჩვენი სამშობლო, თუ ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები გაბედავენ საბჭოთა კავშირისა და მშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ ახალი ომის გაჩაღებას.

ხუთი წელია პროპაგანდისტად ვმუშაობ და კარგად ვიცი, რომ ამ საპატიო მოვალეობის შესასრულებლად საჭიროა ღრმა ცოდნა. ყოველდღიურად ვმუშაობ იმისათვის, რომ ავიმაღლო თეორიული ცოდნის დონე, სრულყოფილად დავეუფლო პროპაგანდისტის ხელოვნებას. სისტემატურად დავდივარ წულუკიძის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში, სადაც ვიღებ კონსულტაციას როგორც თეორიულ, ისე მეთოდურ საკითხებზე.

წრის მსმენელთა უდიდესი ნაწილი ბეჯითად ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ეს მუშაობის ხალისს მმატებს. ქარხნის ცნობილი სტახანოველები ვასილ ბალანჩივაძე, ზინაიდა ხარაბაძე, ელენე ელიაშვილი და სხვები, რომლებიც საწარმოო დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ, შესანიშნავად მუშაობენ საკუთარი პოლიტიკური მომზადების დონის ასამაღლებლად.

ერთი წუთითაც არ შევანელებ მუშაობას. უფრო მონდომებით ვიმუშავებ საკუთარი თეორიული დონის ასამაღლებლად. წრის ყოველ მეცადინეობას მაღალ იდეურ დონეზე მოვაწყობ, მივაღწევ იმას, რომ თითოეული მსმენელი სულ უფრო და უფრო იმაღლებდეს პოლიტიკური ცოდნის დონეს, რაც ახალ სამეურნეო წარმატებათა მოპოვების ძირითადი პირობაა.

**მ. ანდღულაძე**

ქუთაისის საკონსერვო ქარხნის ინჟინერი, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი.

## კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების გადასამზადებელი კურსების მსმენელთა გამოშვება

**მცხეთა.** (სპეც. კორ.). ამ დღეებში სოფელ საგურამოში მოეწყო კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების გადასამზადებელი კურსების მსმენელთა მერვე გამოშვება. კურსების მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოსამზადებელი სამწლიანი სკოლის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ნ. გაგუა. იგი შეეხო კურსების მუშაობის საკითხს და აღნიშნა, რომ მსმენელები კარგად იყენებენ სკოლაში შექმნილ პირობებს სასოფლო-სამეურნეო ცოდნის დონის ამაღლებისათვის. გამოსაშვები გამოცდების შედეგად კოლმეურნეობათა 53 თავმჯდომარიდან წარჩინებული მოწმობა მიიღო 25 კაცმა. მათ შორის არიან მ. სარიშვილი (მახარაძის რაიონი), ს. ყურაშვილი (ცაგერის რაიონი), ნ. ძულიაშვილი (თეთრი წყაროს რაიონი), კ. მიქაძე (აბაშის რაიონი), პ. ხარჩილავა (ოჩამჩირის რაიონი), ვ. დარსალია (ჩხოროწყუს რაიონი), ი. ინასარიძე (ახალციხის რაიონი), გ. მაღლაკელიძე (ზესტაფონის რაიონი), შ. ხონელიძე (ვანის რაიონი), დ. ჯიქია (ხობის რაიონი), ნ. ბექანიშვილი (თიანეთის რაიონი), ა. ლაცაბიძე (ორჯონიკიძის რაიონი) და სხვა.

კურსდამთავრებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა ნ. ძულიაშვილმა (თეთრი წყარო), ბ. ნარტყოშვილმა (ონი), ლ. ბაზალმა (ყაზბეგი), პ. ხარჩილავამ (ოჩამჩირე), ბ. სიმონოვმა (თელავი), ა. ტაბატაძემ (ჭიათურა), გ. ლაღიძემ (მაიაკოვსკი), დ. ჯიქიამ (ხობი), მ. ღუნაშვილმა (ლენინგორი).

კურსდამთავრებულებს მიესალმა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. ი. კახიანი.

გამოშვების წინ კურსდამთავრებულ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საკითხებზე ესაუბრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ზ. ჩხუბიანიშვილი.

## საშემოდგომო თევზაობა

**სოხუმი.** (საკ. კორ.). დაიწყო საშემოდგომო თევზაობის სეზონი, რომელსაც აფხაზეთის თევზის სარეწები მომზადებული შეხვდნენ.

სოხუმელ თევზმჭერთა ფლოტილია 4 გემის შემადგენლობით გავიდა ქერჩის ყურისაკენ, სადაც მასობრივად შეუდგება თევზის ჭერას. ოქტომბრის დღესასწაულისათვის ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ქალაქების მოსახლეობა აფხაზეთის მეთევზეებისაგან ათეულ ტონობით ახალ თევზს მიიღებს. სოხუმის, გაგრისა და გუდაუთის თევზის ქარხნების კარჭაპები, სათევზაო ნავები და ნედლეულის ბაზები ხელახლა შეაკეთეს. ცალკეულ შრომატევად სამუშაოთა პროცესები მექანიზებულია.

# ვამაყობთ ჩვენი შრომის ნაყოფით!

## ლაპარაკობენ სამგორის მოწინავე მშენებლები

### გიორგი კახაძე

დურგალთა ბრიგადის ხელმძღვანელი

— მაშინ, როდესაც სამგორში მშენებლობა გაჩაღდა, მე ჩემს სოფელში — დიდ ჯიხაიშში (სამტრედიის



რაიონი) კოლმეურნეობაში ვმუშაობდი. ვკითხულობდი გაზეთებში სამგორის ამბებს და თანდათან მიძლიერდებოდა აქეთ წამოსვლის სურვილი. 1949 წელს გამოვწიე სამგორში და თან ვეჰეობდი — იქნებ დურგლები ისეც ბევრი ჰყავთ და მე უარი მითხრან-მეთქი, მაგრამ ჩემი ეჭვი არ გამართლდა. უარი არავის უთქვამს, სიხარულით მიმიღეს სამუშაოზე და მირჩიეს წავსულიყავი სათავის ნაგებობაზე, როგორც ყველაზე მეტად პასუხსაგებ უბანზე. ასეც მოვიქეცი.

ბეტონისა და რკინაბეტონის ეს დიდი ნაგებობები ჩემს დროსაა შესრულებული. გაივლის მცირე დრო და სამგორის ველი აყვავებულ ბაღ-ვენახებად იქცევა. მიხარიან, რომ ამ საშვილიშვილო საქმეში მეც შევიტანე წვლილი ჩემი შრომით.

თავდადებით, საქმისადმი, სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით მუშაობდნენ ჩემი ბრიგადის წევრებიც — ძმები ალექსი და ნიკო გიგაურები, ვახტანგ აბგაიძე, ალექსი ჩანგაშვილი, ანტონ შულგინი და სხვები. სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი ერთგულებას ჩვენ ვამტკიცებდით ნაკისრ სამუშაოთა მაღალხარისხოვანი შესრულებით.

—◎—

### თედო ქიქიკაშვილი

ზეინკალი, სამშენებლო მექანიზმების შემკეთებელი

— უმაღლესი თანრიგის მაღალკვალიფიციურ ზეინკლად ვითვლები. დავბრუნდი თუ არა საბჭოთა არმიის რიგებიდან, ვარჩიე სამგორში სამუშაოდ წამოსვლა. დიდად კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი პროფესია აქ გამოსადეგი შეიქნა და მე, როგორც ზეინკალს, მომანდეს ჰიდროენერგომშენებლობისთვის გადაცემული მძლავრი სამშენებლო ტექნიკის მომსახურება.



სასიამოვნოა, როცა ვხედავ ამ შესანიშნავ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს, ზეგანებზე არშიასავით გადაფენილ გამზადებულ არხს. ექსკავატორების, ბულდოზერების, ბეტონსარევი დანადგარების და მრავალი სხვა მექანიზმის შეუფერხებელი მუშაობა რომ არა, ყოველივე ეს ჯერჯერობით კიდევ არ იქნებოდა. ამაში ჩემი მცირედი წვლილიც ურევია, ამით მე ვამაყობ, ეს მინერგავს შემდგომში კიდევ უკეთესად მუშაობის ენერგიას.

### დავით ხუზულური

მებეტონეთა ცვლის უფროსი

— ბოჭორმელი ვარ — საგარეჯოს რაიონის მთის ერთ-ერთი სოფლიდან. ჩვენი კოლმეურნეობის „ახალი ცხოვრების" თავმჯდომარე პეტრე გუჩაშვილი, აქეთ როცა მოვდიოდი ხანგრძლივ სამუშაოდ, მეუბნებოდა, უსათუოდ რაიმე ხელობა შეისწავლე, როცა ჩვენთან დაბრუნდები, უფრო გამოგვადგებიო. მისი ეს თხოვნა პირნათლად შევასრულე, მიწაზე მუშაობის გარდა აქ ჩამოსვლამდე არავითარი ხელობა არ ვიცოდი, ხოლო ახლა მებეტონეთა მრავალრიცხოვან ბრიგადებს ვხელმძღვანელობ. ბეტონის საქმე კარგად შევისწავლე. ვიცი ცემენტისა და ინერტული მასალების შეზავების საიდუმლოება, სად როგორი ბეტონის გამოყენება უკეთესია, როგორ უნდა მოეწყოს ბეტონის ჩასხმა, როგორ უნდა გაკეთდეს ფიცრული, ან ქარგილი და სხვ.



რაც შეეხება კოლმეურნეობაში ჩემს დაბრუნებას, ეს საქმე ცოტა ხნით მაინც უნდა გადაიდოს. სამგორში ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო დარჩა შესასრულებელი. ჩემი სურვილია ბოლომდე ვიმუშაო ამ საქმეზე.

—◎—

### გიორგი მირიანაშვილი

ბეტონის ოსტატი

— სამგორის სარწყავი სისტემა მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ ამ სისტემის მშენებლობაზე აღიზარდნენ მშენებელთა ისეთი კადრები, რომელთაც ძალა, ცოდნა და გამოცდილება შესწევთ მომავალში კიდევ უფრო დიდი მასშტაბის მშენებლობას ჩაუდგნენ სათავეში.



თვითონ მე სიღნაღის რაიონიდან ვარ, ანაგიდან. სამგორში სამუშაოდ ჩამოსვლა ჩემი პატრიოტული ღირსების საქმედ მივიჩნიე. უნდა გამოვტყდე, რომ პირველ ხანებში ბეტონის სამუშაოებისა არა გამეგებოდა რა, მაგრამ მალე შევისწავლე ეს საქმე, დავხელოვნდი და ახლა ბეტონის ოსტატად ვმუშაობ. ასევე აღიზარდნენ ჩვენთან მაღალკვალიფიციურ მშენებელ მებეტონეებად გიორგი იოგანაშვილი, იოსებ ოსეფაშვილი, ზურაბ ნანუაშვილი, მიხეილ ხაჯიევი და მრავალი სხვა. ახლა, რაკი აქ სამუშაოები თავდება, ჩვენი სურვილია გადაგვიყვანონ ახალ უბნებზე სამუშაოდ. ისე შევეჩვიეთ ჩვენს ახალ პროფესიებს, რომ სადაც უნდა ვიქნეთ, როგორი რთული საბეტონო სამუშაოც უნდა მოგვანდონ, თავს არ შევირცხვენთ.

### ალექსანდრე ნუცუბიძე

სამუშაოთა მწარმოებელი, ინჟინერი

— სამგორის ზემო მაგისტრალური არხის სათავის ნაგებობათა კვანძზე სამშენებლო სამუშაოთა დამთავრებისას ძმური მადლობის გრძნობით აღვნიშნავ ჩვენი მოწინავე მშენებლების — დავით ხუზულურის, ირაკლი უმუდუმოვის, არსენ ტურიაშვილის, ილია და ლუკა ლეონოვების, გიორგი კახაძის, თედო ქიქიკაშვილის და მრავალი სხვა ამხანაგის მუშაობას.



1949 წლის დასაწყისიდან ვმუშაობდით ამ ნაგებობებზე. იშვიათად ყოფილა ისეთი არა თუ თვე ან დეკადა, არამედ დღეც, რომ ჩვენს კოლექტივს სამშენებლო გეგმა გადაჭარბებით არ შეესრულებინოს. უნდა ითქვას, რომ ჩვენი მშენებლები, უკლებლივ ყველანი, თავდადებით და უაღრესი მონდომებით მუშაობდნენ. მშენებელთა ასეთი შრომითი აღფრთოვანება იმის შედეგია, რომ სამგორის მშენებლობით დაინტერესებულია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა, მთელი ქართველი ხალხი. ჩვენ აღგვაფრთოვანებს და ძალას გვმატებს იმის შეგნება, რომ სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა ომისშემდგომ პირველ ხუთწლედში, როგორც ეს ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა აღნიშნა, შეტანილ იქნა ამხანაგ სტალინის პირადი მითითებით.

—◎—

### ალექსანდრე არუთინოვი

ინჟინერი, გვირაბმშენებელი

— მე ვხელმძღვანელობდი ერთ-ერთი გვირაბის გასაყვან სანგრევ სამუშაოებს. მიმუშავნია მრავალ სხვა მშენებლობაზეც, მაგრამ ისეთი შრომითი აქტივობა, როგორიც ჩვენთან არის, იშვიათად მინახავს. ეს იმით აიხსნება, რომ დღითიდღე მაღლდება ჩვენი ხალხის თვითშეგნება, ძლიერდება სიყვარული საბჭოთა სამშობლოსადმი, მისწრაფება მშვიდობისადმი.



გვირაბში მეტად მძიმე პირობებში გვიხდებოდა მუშაობა. ეგრეთწოდებული სამთო წნევა, რომელიც საერთოდ გვირაბმშენებელთა მთავარი მტერია, აქ უდიდესი სიძლიერისა იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენს მშენებლებს წუთითაც არ შეუნელებიათ ტემპი და ეს გვირაბი სარეკორდო სისწრაფით გაჭრეს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო გიორგი და ფირან ყუშიტაშვილების, ხარლამპი ყარაკალოვის და გიორგი ბროლიაშვილის თავდადებული მუშაობა. ისინი ენერგიას არ იშურებდნენ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

## ძირეული პრესის მუშაკთა რაიონული თათბირი

**ზნაური.** (საკ. კორ.). შედგა ძირეული პრესის მუშაკთა და საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების რაიონული თათბირი. თათბირი მოიწვია საოლქო გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" რედაქციამ პარტიის ზნაურის რაიკომთან ერთად.

რაიონული თათბირი მიეძღვნა საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებულ ძირეული პრესის ამოცანებს.

აღინიშნა, რომ საკოლმეურნეო კედლის გაზეთებს მუშაობის საუკეთესოდ მოწყობის ფართო შესაძლებლობანი აქვთ. ამ შესაძლებლობებს კარგად იყენებენ ნულის, წორბისის და სხვა კოლმეურნეობათა კედლის გაზეთები.

მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ჩამორჩენილი კედლის გაზეთები, მათ შორის თერეგვნის (რედაქტორი გ. იკოევი), ავნევის (რედაქტორი ვ. დავითაევ), ველევის (რედაქტორი ყ. ნანიევი) და სხვა კედლის გაზეთები.

თათბირმა საოლქო გაზეთისა და რაიონულ გაზეთ „საკოლმეურნეო ცხოვრების" რედაქციების წინაშე დააყენა ამოცანა — გააძლიერონ ძირეული პრესისადმი დახმარება და ხელმძღვანელობა, სისტემატურად აწარმოონ მოწინავე კედლის გაზეთების გამოცდილების პოპულარიზაცია.

# მშვიდობიანი შრომის ბარაქა

★

**მიხეილ მრევლიშვილი**

★

ყვარლის შუაგულში, სტალინის სახელობის ფართო ქუჩის მარცხენა მხარეზე, იქ, სადაც დურუჯიდან გადმოგდებული წყალი ღარად ჩაუდის მწკრივად დარგულ ნორჩ ჭადრის ხეებს, დაბალი ქვიტკირის გალავნითა და კოხტა მოაჯირით შემოვლებული ლამაზი კარმიდამო მოჩანს.

გზად მიმავალი მგზავრის თვალი უნებურად ჩერდება ამ კარგად მოვლილი ბაღნარის დანახვაზე. ღიმილი სიამაყისა და განუზომელი სიყვარულისა ამეტყველებს მის სახეს. მგზავრი ოდნავ შეანელებს ნაბიჯს. მზრუნველობით გახედავს სალამოს ნიავზე აშრიალებულ ასწლიან კაკლებს, ახალგაზრდა ჭადრებს. წიწვიანით ამწვანებულ ბაღსა და ბაღის სიღრმეში მდგომ პატარა ორსართულიან სახლს. ეს ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმია.

აქ, ამ მიწყნარებულ ეზო-ყურეში დაიბადა და დავაჟკაცდა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ფიქრთამფლობელი დიდი ილია. აქ, ყვარლის ლამაზი მთების კალთაში დაირწა მგოსნის აკვანი. აქ გადაიფურჩქნა ყრმა ილიას ფიქრები და ოცნებანი. აქედან შეჰფიცა მეცხრამეტე საუკუნის დიდმა მოქალაქემ სამშობლოს...

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ
ქართვლის ბედმა
და დაე გვძრახონ—ჩვენ მის
ძებნით დავლიოთ დღენი"-ო.

ნელ-ნელ ბინდდება. გვალვიანი დღის პაპანაქებას გრილი და საამო სალამო სცვლის. ღრუბლებით აჭრელებული ცა გვალვისაგან დახეთქილ ნიადაგს სანატრელ ავდარს ჰპირდება. ღრუბლების დაუსრულებელ ქარავანში ძლივსძლიობით მიარღვევს გზას სექტემბრის მთვარე. წყნარად შრიალებენ ფოთლები.

ბაღში ჭადრის ტოტებქვეშ ფილაქნის მაგიდაზე ხელდაყრდნობილი გავყურებ ორსართულიან პატარა სახლს, სადაც საქართველოს დუხჭირი წარსული ჩაკეტილა.

აი ოთახიანი ქვრივი მუხლმოყრილი დასცქერის შვილის საფლავს და სანთელივით მიმდნარ, უცრემლო სახეზე საშინელი მწუხარება ასახვია. შორიახლოს კესოს და არჩილის შეშინებული სახეები მოჩანან. მათ თითქოს დღესაც ვერ გაუგიათ „ჩატეხილი ხიდის" ტრაგედია. აგერ, მცონარა ლუარსაბ თათქარიძე ტახტზე წამოგორებულა და ჭერში ბუზებსა თვლის. კუთხეში ფარაჯის ნაგლეჯებში გახვეული, ლონემიხდილი გაბრიელი თავის მწარე თავგადასავალსა ჰყვება. შუბლშეკრული უსმენს კაკო ყაჩაღი ზაქროს ამბავს და გული ბოღმით ევსება.

კიდევ უფრო შეყვითლებულან მთვარის მკრთალ შუქზე გაზეთ „ივერიის" ფურცლები, რომლებიც წარსული საუკუნის უსამართლობაზე, ერის უუფლებობაზე და მშრომელთა განუზომელ ჩაგვრაზე ლაღადებენ. ამ ჩაგვრაზე ამბობდა მგოსანი „აჩრდილში"

„ვინა შრომობდა და ვინა ჰძლება
ღმერთო, სად არის აქ სამართალი".

შეჰყურებთ მთვარით განათებულ პატარა ორსართულიან სახლს და გრძნობა მადლობისა ედება გულს. გრძნობა მადლობისა სტალინური ეპოქისადმი, რომელმაც ეს ნანგრევები აღადგინა, რომელმაც ამ ფოლიანტებს და ესტამპებს თავი მოუყარა, რათა ჩვენს თაობას, რომელიც კომუნიზმს აშენებს, არ ავიწყდებოდეს მამაც წინაპართა შეუდრეკელი სული.

ვტოვებთ მუზეუმს. ქუჩაში გამოვდივართ და ქვევით ვეშვებით.

• • •

მუზეუმის შენობიდან ორასიოდე მეტრის დაშორებით, ჯერ კიდევ ხარაჩოებში ჩასმული მეორე ორსართულიანი შენობა დგას. ეს ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ახალი კანტორაა. სტუმრები ახლად ნაგები კიბით მეორე სართულზე ავდივართ. ელექტროლამპრებით განათებულ გრძელ დერეფანს შენობის სიღრმეში მივყავართ. ოთახების კარებზე აკრული ლამაზი შუშის აბრები გვამცნობენ ამა თუ იმ სადგომის დანიშნულებას. „სპეციალისტები", „ლაბორატორია", „თავმჯდომარის კაბინეტი", „პარტბიურო", „კლუბი".

მიუხედავად იმისა, რომ ღამის ათი საათია, აქ ჯერ კიდევ სიცოცხლე ჩქეფს. კოლმეურნეობის ბუღალტერიაში საანგარიშოებს აჩხაკუნებენ და შრომადღეებს ითვლიან. სპეციალისტების ოთახში აგრონომები სათესლე ხორბალს სინჯავენ.

დერეფანში ახალგაზრდა გოგონა აქა-იქ შემორჩენილ ხალხს კლუბისკენ უხმობს.

დიდი, ახლად მოპირკეთებული, ელექტრონათურით უხვად განათებული დარბაზი სავსეა ხალხით. წითელი ქსოვილით მორთულ ტრიბუნაზე ორატორი დგას და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვის მნიშვნელობაზე მსჯელობს. პრეზიდიუმის გრძელ მაგიდაზე მშვიდობის მტრედებივით ჩამოწყობილან მსოფლიო საბჭოს მიმართვის ხელმოსაწერი ფურცლები.

— ამხანაგებო! — განაგრძობს მომხსენებელი დინჯი ქართულით.—ინგლისელი და ამერიკელი კაციჭამიები ომის ახალ კოცონს ანთებენ და უნდათ ამ კოცონში ჩასწვან და ჩაჰფერფლონ ხალხთა დემოკრატიული უფლებები. მათ არ ეყოფათ ფაშისტების მიერ დაღვრილი სისხლი, არ ეყოფათ, რადგან ყოველი წვეთი ომში დაღვრილი სისხლისა ოქროა მათთვის. ჩვენი ვალია, ამხანაგებო, მხეცთა ამ განზრახვას უფრო ენერგიული შრომით ვუპასუხოთ. ჩვენი ვალია შრომის ნაყოფიერების ყოველდღიური ზრდით გავზარდოთ დოვლათი საბჭოთა ქვეყნისა და ამით განვამტკიცოთ მშვიდობის მომხრეთა ფრონტი. ყვარლის ამხანაგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ წელს უხვი მოსავალი მიიღო. განსაზღვრული ნაწილი ამ მოსავლისა სახელმწიფოს ჩაბარდა. ასობით ტონა მარცვლეული, ოთხასამდე ტონა ყურძენი, აბრეშუმის პარკი თუ საუკეთესო ხარისხის მატყლი — ეს ჩვენი კოლექტივის პატარა წვლილია მშვიდობის მომხრეთა ფრონტის განმტკიცების საქმეში.

დაძაბული ინტერესით უსმენენ ამ სიტყვებს მზისაგან გარუჯული სახეები.

მაგიდას უახლოვდებიან აგრონომები, ბრიგადირები, მერგოლეურები და კოლექტივის რიგითი წევრები.

— ჩვენ მშვიდობა გვინდა! ჩვენ, სტალინის ხელმძღვანელობით გამოწრთობილთ, კომუნიზმის მშვიდობიანი მშენებლობა გვწადიან!—ამბობენ ისინი და ამ სიტყვებს მიმართვაზე ხელმოწერით ადასტურებენ.

ივსება მსოფლიო საბჭოს მიმართვის ფურცლები. ხელისმომწერთა შორის ჩვენ ვხედავთ მემინდვრეობის პირველი ბრიგადის ბრიგადირს გიორგი ქანდაურაშვილს, რომელმაც სამოცჰექტარიანი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 18 ცენტნერი ხორბალი აიღო; სამოცდათხუთმეტი წლის მაქრო ლონიაშვილს, რომელმაც პირველი რვა თვის განმავლობაში უკვე სამასთერთმეტი შრომადღე გამოიმუშავა; ახალგაზრდა ქალს, აგროტექპროპაგანდის სკოლის მოსწავლე მარო იორდანიშვილს, რომელმაც სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანისათვის პრემია მიიღო.

უსმენთ აქ შეკრებილთ და უნებურად კვლავ მუზეუმში ჩაკეტილი წარსულის მოგონება გაიელვებს თქვენს თვალწინ. სულ ორასიოდე მეტრი ჰყოფს ერთ ქუჩაზე მოთავსებულ ამ ორ შენობას. მაგრამ მათ შორის ხომ მთელი ეპოქაა, სულ ოცდაათიოდე წლის მანძილზე გადარბენილი. აი სად მოსულან ცხოვრების სიდუხჭირით გავერანებული და უფლებაყრილი ოთარაანთ ქვრივის და გლახა გაბრიელის ბედნიერი შთამომავალნი! მოსულან როგორც თანასწორნი თანასწორთა შორის, რათა მსოფლიოს ამცნონ ნებასურვილი საბჭოთა მოქალაქისა და თავისი ხმა კაცობრიობის პროგრესული ნაწილის იმედიან ხმას შეუერთონ.

კლუბის დარბაზში ხელისმოწერა გრძელდება.

• • •

ბრიგადირები თავმჯდომარის კაბინეტში იკრიბებიან. კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი სიკო ბუჯიაშვილი გვთხოვს დავესწროთ ბრიგადირების თათბირს.

— საქმე მოგვაწვა ძლიერ. მოუცლელობაში ვართ! — თითქოს მობოდიშებით გვეუბნება იგი და თავისი სამუშაო ოთახისაკენ მივყევართ.

თავმჯდომარე წყვეტს ჩვენთან ბაასს და ოთახში მყოფთ მიმართავს.

— ამხანაგებო, შევუდგეთ საქმეს!

თათბირი საქმიანი საუბრით იწყება. აქ ახლა კითხვა-პასუხი სხარტი და მოკლეა. უსმენ ამ უბრალო, შეულამაზებელ ბაასს და გაკვირვებს სირთულე საქმისა. ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღების გამართვა-განაწილება ცალკეულ ნაკვეთზე. მინერალური სასუქების მიზიდვა და ნაკვეთებში შეტანა ხვნა-თესვის წინ. ყურძნის კრეფა და მოკრეფილის მოვლა-პატრონობა. სიმინდის ტეხა და ქერჩის აჭრა. ცხვრის პარსვა და ტრანსპორტის განაწილება ცალკეულ უბნებზე — ყველაფერი ეს ხვალინდელი დღის გადაუდებელი საქმეა.

—სიკო, მანქანები თუ არ მომეცი, გაგვიფუჭდება სიმინდი მინდორში! — ამბობს ბრიგადირი მირონ ბალალოშვილი.

— ორი მანქანა გეყოფა? — კითხულობს თავმჯდომარე.

— უნდა ვიმყოფინო, რა ვქნა!

— ძალიან კარგი, ხვალ ორი მანქანა წაიყვა.

— თუ ეგრე ვკრიფეთ ვენახები, რთველს ერთ თვეს კიდევ ვერ მოვრჩებით! — ისმის მეორე მხრიდან.

— რა გაგიჭირდა, თქვი!

— ხალხი არ მყოფნის, ხალხი! — ისმის იგივე ხმა.

— აბა რა ვუყოთ გაიჭირვე, ხომ ხედავ, საქმე მოზვავდა ერთნაირად. რთველი კარგია, მაგრამ, ხვნა და თესვა რთველს ვერ დაუცდის, ხალხის ნაწილი იქ გვჭირდება.

— დოლის პური სადღა დავთესოთ? — კითხულობს მაგიდასთან მჯდომი ხნიერი კოლმეურნე.

— ნაბალარზე დაითესება, კარგი და სწორი ნაკვეთია, — ამბობს კოლმეურნეობის აგრონომი დარიკო ქერდოვანიძე.

— მეც ეგრე მგონია! — უდასტურებს თავმჯდომარე აგრონომს და სტუმრებისაკენ იხრება.

— წვიმს! — ღიმილით ამცნობს ახლად შემოსული ოთახში მყოფთ.

— რა იქნებოდა ერთი თვით ადრე მოსულიყო! — წყრომით დუდუნებს კუთხეში ვიღაც.

— ეხლაც კარგია, დანამავს ნიადაგს, გაგვიადვილებს ხვნას და თესვას! — ამბობს თავმჯდომარე და ფეხზე დგება. დგებიან სხვებიც.

თათბირი მთავრდება. ხვალისთვის სამუშაოები განაწილებულია, ყველას თავისი საქმე აბარია. ყველამ თავისი უბანი იცის.

ვემშვიდობებით ამხანაგებს და კარში გამოვდივართ. დაჟინებით წვიმს. გადაღმა დურუჯი ავობს და ქუხს. წვიმის ლიბრში მკრთალად მოჩანან ქუჩაში ჩამწკრივებული, ფერმკრთალი ლამფიონები. ხარბად სრუტავს მოწყურებული ნიადაგი ციდან გადმოვარდნილ ნამს.

• • •

ქინქლიანი დღეების შემდეგ როგორც იყო გამოიდარა. ცა მოიწმინდა. პირდაბანილ სილაჟვარდეში შემოდგომის მზე აკაშკაშდა. ბროლივით გამჭვირვალე და სუფთა ჰაერში მკაფიოდ გამოჩნდნენ ცად აყუდებული, სპეტაკი თოვლით გადათეთრებული, კავკასიონის ქედის მწვერვალები. ალაზნის ველზე გვალვის ბული გადაიყარა და სადღესასწაულოდ მორთული პატარძალივით ანაირფერდა. შემოდგომა ეწვია ალაზნის ველს. შემოდგომა ეწვია სოფელ გავაზსაც.

გავაზი ბაღებში ჩაფლული დიდი და ლამაზი სოფელია. გავაზის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა ექვსას ორმოცდაათ კომლს აერთიანებს და ოთხი ათასი ჰექტარი ფართობიდან ორი ათას ოთხასი ჰექტარი სახნავ-სათესი მიწები აქვს. მაგრამ ამას როდი სჯერდებიან გავაზელები. მათ შარშან ასი ჰექტარი ყამირი წაართვეს ჯაგნარს და ჭაობებს. გუთანი დაუდეს ლარივით გაწვდილ გასუფთავებულ მიწებს და გადამუშავებულ ნოყიერ ნიადაგში ბრინჯივით დარჩეული ხორბალი ჩაჰყარეს. მაგრამ არც ამან დააკმაყოფილა გავაზელი კოლმეურნენი. ისინი ფიქრობენ სამასი ჰექტარი მიწა კიდევ წაართვან მაყვლის ბარდებსა და ჭყანტობებს, სადრენაჟო

# უდანაკარგოდ ავიღოთ თამბაქოს მოსავალი

თამბაქოს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხულოს, ქედისა და ბათუმის რაიონების კოლმეურნეობებში. წელს თამბაქოს მოსავალი კარგია.

აჭარის ასსრ კოლმეურნეობებმა ვადამდე 114 პროცენტით შეასრულეს თამბაქოს მოსავლის აღების გეგმა და ახლა იბრძვიან, რომ გეგმის გადამეტებით შეტეხონ 4.400 ათასი ზონარმეტრი თამბაქო. საოქტომბრო შეჯიბრების გაშლების შედეგად კოლმეურნეობები ახალ წარმატებებს აღწევენ. მეთამბაქოეებმა დამატებით უკვე 1.681.381 ზონარმეტრი თამბაქოს ფოთოლი შეტეხეს.

თამბაქოს მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების საქმეში დაწინაურდნენ ქედის რაიონის კოლმეურნეობები, რომლებმაც გეგმით გათვალისწინებული 4.100.000 ზონარმეტრის ნაცვლად შეტეხეს და უკვე აიმსეს 5.550.000 ზონარმეტრი თამბაქო, ანუ წლიური გეგმის 135,3 პროცენტი. რაიონის მეთამბაქოეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით შეტეხონ ორი მილიონი ზონარმეტრი თამბაქო და სახელმწიფოს დამატებით ჩააბარონ სულ მცირე 130-150 ტონა ხმელი თამბაქო. ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში მათ უკვე შეტეხეს ერთნახევარი მილიონი ზონარმეტრი თამბაქო.

ასეთივე გადიდებული ვალდებულებები იკისრეს ხულოსა და ბათუმის რაიონების მეთამბაქოე კოლმეურნეობებმა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ქედის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის რგოლი, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ა. ნაკაშიძე ხელმძღვანელობს. ეს რგოლი 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 20 ცენტნერზე მეტ თამბაქოს მოელის.

რესპუბლიკის მეთამბაქოეებმა ვალდებულება აიღეს თამბაქოს ჩაბარების სახელმწიფო გეგმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავისათვის შეასრულონ. ვალდებულების შესასრულებლად ისინი მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ დავალებებს.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში თამბაქოს მოსავლის აღება და სახელმწიფოსათვის ჩაბარება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, ვხვდებით აგროწესების დარღვევის ფაქტებს. ხულოს რაიონის სოფელ მაწყვალთას ქდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ჯ. ზოიძე) შემოსულ ფოთოლს დროულად არ იღებენ, დიდია თამბაქოს დანაკარგი, კარგად არ არის მოწყობილი მისი გაშრობა. ამავე რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე მ. ქარცივაძე) თამბაქო მზეზე გასაშრობად დიდი დაგვიანებით გამოაქვთ.

თამბაქოს მოსავალი ავიღოთ უდანაკარგოდ, გავაძლიეროთ დამზადება — ასეთია ამოცანა.

აგრონომი ი. მიქელაძე
დ. პაიჭაძე

# რატომ ფერხდება ყურძნის გადამუშავება

შარშანდელთან შედარებით წელს ყურძნის ორჯერ მეტ მოსავალს იღებენ ...

... საქმეში ხიდისთაველებს ხელი ეშლებათ. ქარხანა უზრუნველყოფილი არ არის ელექტროენერგიით ...

# სომხეთის სსრ მეცხოველეობის მუშაკთა დელეგაცია დმანისში

დმანისი. (სპეც. კორ.). სომხეთის სსრ მეცხოველეობის მუშაკთა დელეგაცია თბილისიდან ესტუმრა დმანისის რაიონს. დელეგაციას თან ახლდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები ამხ. ალ. ბედიაშვილი და ვ. აბესაძე, სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. დ. დოლიძე, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

დმანისელებმა სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. დელეგაციის წევრები გაეცნენ მეცხოველეობის რაიონულ გამოფენას. გამოფენაზე მოწყობილი იყო 4 განყოფილება: მსხვილფეხა რქიანი საქონლის, მეცხვარეობის, მეცხენეობისა და საკვებმოპოვებისა. გამოყვანილი იყო 700 სული პირუტყვი, აქედან 60 სული დმანისის საჯიშე საბჭოთა მეურნეობისა, დანარჩენი კი — 22 კოლმეურნეობისა. ფართოდ იყო წარმოდგენილი რაიონის ყველისა და კარაქის ქარხნების მრავალი სახის პროდუქცია. ნაჩვენები იყო მათი დამზადების ტექნიკა.

გამოფენამ სტუმრებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

შემდეგ დელეგაციის წევრები გაეცნენ მოწინავეთა მუშაობის მეთოდებს დმანისის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც 400 სული მარტო ძროხა ჰყავთ. აქვე ინახულეს საჯიშე საბჭოთა მეურნეობა, სადაც სულადობისა და პროდუქტიულობის გადიდების წლიური დავალება ვადამდე შესრულებულია დიდი გადაჭარბებით.

მოძმე სომხეთის მეცხოველეებმა დაწვრილებით შეისწავლეს გომარეთის, სარკინეთის, ყარაბულახის, განახლების, განთიადის და სხვა სოფლების კოლმეურნეობათა მუშაობა.

# ჩეხოსლოვაკიის ქალაქისთა დელეგაცია საქართველოში



სურათზე: ახალი საცხოვრებელი კომბინატის ფასადის ესკიზი, არქიტექტორ ა. მიმინოშვილის პროექტის მიხედვით. ფოტო შ. ხხეტაანისა.

დღეს თბილისში

# ფიქრის გორაზე

ფიქრის გორა, რომელიც ახლა ქალაქის ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული უბანია, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მიშველ მინდორს წარმოადგენდა. ოციოდე წლის წინათ აქ მუშათა კოოპერაციულმა სამშენებლო ამხანაგობებმა დაიწყეს საცხოვრებელი სახლების აგება და ამის შედეგად ეს უბანი დედაქალაქის დამამშვენებელ კუთხედ გადაიქცა.

ახლო ხანში იგი კიდევ უკეთესი არქიტექტურული ანსამბლით დაამშვენებს თბილისის ხედს.

ფიქრის გორაზე საქართველოს ნავთის ტრესტმა დაიწყო დიდი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ეს სახლი იქნება ნაწილი იმ დიდი საცხოვრებელი კომბინატისა, რომელიც უახლოეს წლებში უნდა აშენდეს ქალაქის ამ ცენტრალურ უბანში. საცხოვრებელი კომბინატის პროექტის ავტორია სტალინური პრემიის ლაურეატი არქიტექტორი ალექსი მიმინოშვილი.

— ამ ახალი დიდი საცხოვრებელი კომბინატის დაპროექტებისას, — ამბობს პროექტის ავტორი ა. მიმინოშვილი, — ჩემი, როგორც არქიტექტორის, ამოცანა რთული და პასუხსაგები იყო. ფიქრის გორა ქალაქის ერთ-ერთ ორიგინალურ და რელიეფით თავისებურ უბანს წარმოადგენს. მის მახლობლად მდებარეობს საბჭოთა კავშირის გმირთა მოედანი ირგვლივ ისეთი მონუმენტური ნაგებობებით, როგორიცაა ასზინიანი სახლი, ცირკის შენობა, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მახლობელი ანსამბლი. ყოველივე ეს პროექტის დამუშავებისას აუცილებლად უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული.

ამ ახალმა საცხოვრებელმა კომბინატმა ფიქრის გორის პლატო უნდა დაამშვენოს ისეთი არქიტექტურული ანსამბლით, რომელიც შეავსებს ამ რაიონში არქიტექტურულ ანსამბლთა მხატვრულ სურათს.

— შენობის ძირითადი სხეული ოთხსართულიანი იქნება. ნიკოლაძის ქუჩის მხრიდან შენობას იქნება ხუთი სართული, ხოლო ვარაზისხევის მხრიდან — რვა სართული. ამ მხარეზე შენობას დაამშვენებს მაღალი, კოშკისებური ფლიგელი. სახლში სულ 102 ბინა იქნება. მათ შორის ოთხი ბინა გათვალისწინებულია ამავე სახლის მომსახურე პერსონალისათვის. ბინები იქნება უმთავრესად ორ, სამ და ოთხოთახიანი. პროექტის შედგენისას ძირითად მიზნად დასახული მქონდა მობინადრეთათვის საუკეთესო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა—ოთახთა მოხერხებული განლაგების მიღწევა, სასამსახურო სათავსოთა მოწყობა და სხვ. თვითეულ ბინას ექნება საკუთარი სამზარეულო, საკუჭნაო, კედელში დატანებული კარადა, ეზოს მხრიდან — ვერანდა.

კომბინატის მშენებლობასთან დაკავშირებით მოხდება ნიკოლაძისა და ლენინის ქუჩის მახლობელ მონაკვეთთა რეკონსტრუქცია. ის ვიწრო აღმართიანი გასასვლელი, რომელიც ამჟამად ლენინის ქუჩას ნიკოლაძის ქუჩასთან აკავშირებს (საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს შენობის პირდაპირ), ერთიორად გაფართოებული იქნება. აქედან ქვემოთ, გმირთა მოედნისაკენ ლენინის ქუჩის გაყოლებით, კლდის ნაპირს შენობის კორპუსი 7 მეტრით იქნება დაშორებული. შენობასა და კლდეს შუა გაყვანილ იქნება ქუჩა, რომელიც ლენინის ქუჩას დააკავშირებს ნიკოლაძის შესახვევთან და რომელიც გამოყენებული იქნება ავტოტრანსპორტის ცალმხრივი მოძრაობისათვის. ამ ახალი ქუჩის მხრიდან კლდის ჩრდილოეთით გმირთა მოედნის მიმართულებით აგებული იქნება ფართოტრასებიანი კიბე.

საცხოვრებელი კომბინატის კორპუსთა ფასადის ნაწილები მოპირკეთებული იქნება ძეგამის თეთრი ქვით, ალგეთის ბაზალტით და კურსების გრანიტით. საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული ფორმები მარტივი, ლაკონიური და ხალისიანია.

— ჩემი მთავარი მიზანი იყო,—დაასკვნის პროექტის ავტორი მიმინოშვილი,—ამ ფორმების შერჩევისას გამომეყენებინა ქართული მონუმენტური ხუროთმოძღვრების მხატვრული იდეები და ფორმები.

გ. ჩიქვინიძე

... რაც აბრკოლებს ავადმყოფის ნორმალურ მკურნალობას. უადგილობის გამო სივიწროვეს განიცდის საპროტეზო განყოფილებაც.

პოლიკლინიკაზე მიშენებულია ორი ოთახი (დარაბა), რომლებიც უკავიათ კერძო მობინადრეებს. ამ ოთახების განთავისუფლებით მდგომარეობა გამოსწორდებოდა. ამ საკითხზე მრავალჯერ მივმართეთ დახმარებისათვის როგორც საქალაქო საბჭოს აღმასკომს, ისე რაიონული საბჭოს აღმასკომს, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებებს, მაგრამ ჩვენს თხოვნაზე დღემდე პასუხიც არ გაუციათ.

განა დრო არ არის მოწესრიგდეს ეს საქმე?

გ. იმნაიშვილი
მე-6 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მთავარი ექიმი

## გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

### უსულგულო ექიმი მოხსნილია სამუშაოდან

კაჭრეთის რაიონიდან სოფლკორი გვწერდა: ჩვენი რაიონის საავადმყოფოში ზოგიერთი ექიმი უსულგულოდ ეპყრობა ავადმყოფებს, ბოროტად იყენებს სახელმწიფოს მიერ უფასოდ დაწესებულ მკურნალობას, უფასოდ გამოყოფილ მედიკამენტებს ჰყიდის და ჯიბეს ისქელებს, ავადმყოფებისაგან მკურნალობის საფასურად სხვა და სხვა პროდუქტების მიღებასაც არ ერიდება.

წერილი შესამოწმებლად და საჭირო ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) კაჭრეთის რაიკომს. როგორც რაიკომის მდივანი ამხ. ზ. გელდიაშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. რაიკომის ბიურომ განიხილა კაჭრეთის რაიონის საავადმყოფოს საკითხი. საავადმყოფოს დირექტორს ამხ. ი. კვეზერელს, ამავე რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგეს ამხ. ვ. ჯინჯიხაძეს საავადმყოფოსადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადათ საყვედური. ექიმი ვ. ხოტენაშვილი ავადმყოფებისათვის ფულისა და პროდუქტების გამოძალვის, აგრეთვე ავადმყოფებისადმი უსულგულო დამოკიდებულებისათვის მოხსნილია სამუშაოდან.

რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი საავადმყოფოს მუშაობის გასაუმჯობესებლად.

... ბა ბოლოს. და ეს დაზვინული, სიმძიმისაგან წელში მოხრილი ვაზებით დატვირთული დედამიწა დაუსრულებელი გგონია.

— გვალვამ შეაწუხა ცოტა... — მიხსნის ამხანაგი ვასო.

— ამაზე კარგი რაღა იქნება,—ვფიქრობ გუნებაში და ალტაცებით შევყურებ ...

კოლმეურნეობის წევრებმა, რომლებმაც ყური მოჰკრეს ცისკარაშვილის სიტყვებს, იმედიანად გაუღიმეს თავიანთ ხელმძღვანელს. ათასცხრას ორმოცდა ერთი წლიდან ხელმძღვანელობს ამხანაგი ვასო შილდის კოლექტივს და ჯერ პირი არ გაუტეხია, თუ უთქვამს, კიდევაც შეუსრულებია ...

... ათ შემოდგომის ნათესებს. ბიბინებს ჯეჯილი.

ვუახლოვდებით დოლის პურისათვის განკუთვნილ ნაკვეთს. სელექციონერი ამო კობახიძე, რომელიც კოლმეურნეობასთან ერთად აწარმოებდა აქაური დოლის ალდგენის ცდებს, შესამჩნევად ღელავს. ...

